

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №...  
2018 წლის ... ..... ქალაქი ბათუმი**

**ქ. ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს 23-ე მუხლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.**

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმა, დანართის შესაბამისად.

2. ქ. ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმში, მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 05.34.25.664) განსათავსებელი ობიექტის მოცულობა შემცირდეს და განისაზღვროს არაუმეტეს 28 სართულისა.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**სულიკო თებიძე**